სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 16 აპრილი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ინგა სეხნიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ნათია კორკოტაძე, როინ მიგრიაული, თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, დიანა გვიშიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ქეთევან ხარებავას და თეონა მოსიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქეთევან ხარებავას და თეონა**

მოსიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თამაზ ინაშვილის, ნანა ქადარიას, ირაკლი მუშკუდიანის, მანანა რეხვიაშვილის, გიგლა ვეკუას, მარინე წიკლაურის, ზვიად კვაბზირიძის და ნინო ალხაზიშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამაზ ინაშვილის, ნანა ქადარიას, ირაკლი მუშკუდიანის, მანანა რეხვიაშვილის, გიგლა ვეკუას, მარინე წიკლაურის, ზვიად კვაბზირიძის და ნინო ალხაზიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ სიმონ პარუნაშვილის და ელენე კავთუაშვილის განცხადებებს "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს სიმონ პარუნაშვილის და ელენე კავთუაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. 2024 წლის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ 2024 წლის 06 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსულ განცხადებებს საწევრო დავალიანების სხვადასხვა ვადით გადავადების შესახებ შემდეგი განმცხადებლებისგან: თამაზ სვანიშვილის, დარეჯან ზედგენიძის, მარიკა ნიაზაშვილის, მაგული ლიპარტელიანის, ნინო ჩიმაკაძის, მაია გულიაშვილის, ბაია გულიაშვილის, ლევან მარსაგიშვილის, ანნა შიშნიაშვილის, ნინო მიქატაძის, გიგა კოღუას, თამთა გელაშვილის, ნინო კორძაძის, მარიამ პაპოშვილის, თამარ გულხადარაშვილის, ლაშა ფარცვანიას, ქრისტი გიორხელიძის, მარიამ ყაველაშვილის, გვანცა ასპანიძის, ნინო რურუას, იასონ ხარაბაძის, ზურაბ გვარჯალაძის, გოჩა მარკოიძის, ამბროსი დალაქიშვილის, ნიკოლოზ ზაქარაიას, ნინო ამისულაშვილის, მანანა გელაშვილის, მეგი აბულაძის, ედვარდ აღდგომელაშვილის, ირმა ონიანის, თინათინ მეგრელაძის, თინათინ მჭედლიშვილის, სოფიო ქანთარიას, შალვა გეწაძის, ნუნუ ჩოჩელის, კახა კილაძის, ნაირა ჯუკაშვილის, ხათუნა გოდერძიშვილის, მირიან პეტრიაშვილის, თამარ სანიკიძის, მამუკა ლომიძის, ნატო ნებიერიძის, ირაკლი გუნიავას, ივანე პეტრიაშვილის, ვასილ ოსეფაშვილის, მამუკა ნინუას, ეკატერინე მახარაშვილის, ავთანდილ ბუაძის, დიანა მარტიაშვილის, ივანე იორამაშვილის, დიანა გოგინაშვილის, ხათუნა მანჯგალაძის, თამარ ლომთაძის, ნინო დოლიძის (1976), თამარ ხუბულურის, მედეა ინასარიძის, ანა გოგოლაურის, რევაზ მოდებაძის, თამარ ჯაფარიძის და მზია ფხალაძის.

წევრებმა განაცხადეს, რომ წევრების მიერ მათ განცხადებებში მითითებულია სხვადასხვა ობიექტური გარემოები, რამაც გააძნელა მათთვის საწევრო შენატანის გადახდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული კოლეგების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და განისაზღვროს გონივრული ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად. თავმჯდომარის ინიციატივის თანახმად, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრებიც, ასეთ ვადად განისაზღვრა 2024 წლის 19 სექტემბერი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები საწევროს გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდეს საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების ნაწილში და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 19 სექტემბერი, 18:00 საათი;

(ბ) ეცნობოთ განმცხადებლებს მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ პერიოდში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე;

(გ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოთ აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს და ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 5. 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 06 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 06.03.2024 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 15 კალენდარული დღით, 2024 წლის 21 მარტის ჩათვლით.

აღმასრულებელი საბჭოს 21.03.2024 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 25 კალენდარული დღით, 2024 წლის 16 აპრილამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gba.ge) და ამასთან, წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთგზის გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა დაზუსტებული რაოდენობა არის 343, რომელთაგან საწევრო დავალიანების გადავადების მოთხოვნით ასოციაციას მომართა 60-მა წევრმა.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1), მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) აღმასრულებელი საბჭოს 06.02.2024 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გამოცემულ იქნას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრებს შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო (დანართი #1: დავალიანების მქონე წევრთა სია);

(ბ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ წევრთა სია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge 1 (ერთი) თვის ვადით. ამასთან, ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ასოციაციისათვის ცნობილ მობილური ტელეფონის ნომრებზე გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მათთვის წევრობის შეწყვეტის თაობაზე;

(გ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, საწევრო დავალიანების გადახდის შეთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგეთ ასოციაციის წევრობა.

(დ) 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილებით 2024 წლის 19 სექტემბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 16.04.2024 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

(ე) წინამდებარე აქტისა და მასში ასახული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლამდე, 2024 წლის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ ასოციაციაში შემოსულ განცხადებებზე გავრცელდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საწევრო დავალიანების გადახდის ვადის 2024 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით გადავადებისა და აღნიშნულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

(ვ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოთ აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს და ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 6. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დებულების განხილვა და დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის განახლებული დებულება. სხდომაზე წარმოდგენილი დებულება დეტალურად იქნა განხილული წევრების მიერ. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხები წარმოდგენილ დებულებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დებულება, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #2).

საკითხი 7. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგაზაფხულო სესიის თარიღების განსაზღვრა და დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების თარიღებად 20, 21, 22 ივნისის და გასაჩივრების თარიღად 23 ივნისის განსაზღვრის შესახებ.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: 2024 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების თარიღებად განისაზღვროს 2024 წლის 20, 21 და 22 ივნისი, ხოლო გასაჩივრების თარიღად 2024 წლის 23 ივნისი.

საკითხი 8. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამაში შესატანი ცვლილების განხილვა და დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრების მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგაზაფხულო სესიასთან დაკავშირებით და გაცნო საგამოცდო პროგრამა. განმარტა, რომ საგამოცდო პროგრამაში შევიდა მცირედი ცვლილება, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2024 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამა, სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - მირანდა კერვალიშვილის, ნინა თავბერიძის, ელიზა პავლიაშვილის, მედეა სვანიშვილის და ოთარ მაჩაიძის განცხადებებს თანდართული ბიოგრაფიებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად მირანდა კერვალიშვილის, ნინა თავბერიძის, ელიზა პავლიაშვილის, მედეა სვანიშვილის და ოთარ მაჩაიძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ ცხადაძის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

განმცხადებლის განმარტებით, იგი დარეგისტრირდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საგაზაფხულო ნაკადზე, თუმცა ოჯახური პირობებიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ჰყავს 5 თვის შვილი, ვერ ახერხებდა პროგრამაში მონაწილეობას. შესაბამისად, საბჭოს მომართავდა თხოვნით შეწყვეტოდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მსმენელის სტატუსი და დაბრუნებოდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასური.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 1. დაკმაყოფილდეს მარიამ ცხადაძის განცხადება და მას შეუწყდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი.

2. მარიამ ცხადაძეს დაუბრუნდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე გადახდილი რეგისტრაციის საფასური.

(ბ) ნელი დარცმელიას განცხადებას, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნელი დარცმელიას განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.7 მუხლის თანახმად, მიეცეს შესაძლებლობა შეარჩიოს ახალი სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

(გ) დინარა გაბიბოვას განცხადებას, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატის ვადასთან დაკავშირებით.

განმცხადებლის განმარტებით მან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2014 წლის ივნისში, რის შემდგომაც საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატის ვადის გასვლამდე დარეგისტრირდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე, 2024 წლის თებერვალში.

დინარა გაბიბოვას განმარტებით, იგი ვერ მოასწრებს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებას საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატის 10 (ათი) წლიან ვადაში. შესაბამისად, საბჭოს მომართავს თხოვნით, მიეცეს შესაძლებლობა, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დასრულების შემდეგ გაწევრიანდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. ხოლო, ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 (ათი) წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, მოკლებულია შესაძლებლობას შეაჩეროს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის კანონით დადგენილი 10 (ათი) წლიანი ვადა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს დინარა გაბიბოვას განცხადება.

(დ) ია სირანაშვილის განცხადების განხილვა.

წევრები, 2024 წლის 06 მარტის სხდომაზე გაეცნენ ია სირანაშვილის განცხადებას და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, განმცხადებელი მოწვეულიყო აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე.

განმცხადებელი დაესწრო სხდომას და პირადად გააცნო აღმასრულებელი საბჭოს წევრებს თავისი განცხადების შინაარსი.

წევრები დეტალურად გაეცნენ განმცხადებლის მოსაზრებებს და მას დაუსვეს შეკითხვები, რაზეც გაცემულ იქნა პასუხები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ცნობად იქნეს მიღებული ადვოკატ ია სირანაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე